დამტკიცებულია შპს „ორიფლეიმ ჯორჯიას“
გენერალური დირექტორის
ლევან ბოკუჩავას მიერ

17.10.2015

# დებულება შეღავათების შესახებ[1]

კომპანიის კონსულტანტს, რომელსაც კომპანიასთან გაფორმებული აქვს ყიდვა–გაყიდვის ხელშეკრულება, აგრეთვე გავლილი აქვს რეგისტრაციის სპეციალური პროცედურა და მინიჭებული აქვს უნიკალური სარეგისტრაციო ნომერი, უფლება აქვს ისარგებლოს მის მიერ შეძენილ პროდუქციაზე არსებული ყველა იმ შეღავათით, რომელიც დაწესებულია წინამდებარე დებულებით შეღავათების შესახებ (შემდგომში “დებულება”).

## 1. დაგროვებადი შეღავათის დარიცხვის წესი

შეღავათის ოდენობა განისაზღვრება თანხობრივად (ლარში) და იგი დამოკიდებულია ბონუს ქულებზე[2] რომლებიც შეესაბამება კონსულტანტისა და მისი კონსულტანტების პირადი ჯგუფის მიერ ერთობლივად განხორციელებული შესყიდვების ღირებულებას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

კონსულტანტის მიერ შეძენილი პროდუქციის შესაბამისი ბონუს ქულა მიეთითება კომპანიის მიმდინარე პრეისკურანტში, რომელიც კონსულტანტს მიეწოდება შესყიდვის მომენტში ან მანმადე. ეს ინფორმაცია აგრეთვე განთავსებულია კომპანიის ინტერნეტ-საიტზე www.oriflame.ge

- კონსულტანტი იღებს დაგროვებად შეღავათს, რომელიც განისაზღვრება როგორც მის მიერ წინა კატალოგის განმავლობაში[3] შესყიდული პროდუქციის ღირებულების 3%, თუ კონსულტანტისა და მისი კონსულტანტების პირადი

---

[1] წინამდებარე დებულება ვრცელდება შპს “ორიფლეიმ ჯორჯიას” (შემდგომში “კომპანია”) პროდუქციის ყველა იმ მყიდველზე (შემდგომში “კონსულტანტი”), რომელსაც გააჩნია ყიდვა-გაყიდვის მოქმედი ხელშეკრულება კომპანიასთან..

[2] **ბონუს-ქულა («ББ»)*** - რაოდენობრივი ერთეული, რომელიც ენიჭება თითოეული დასახელების პროდუქტს. კომპანია იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეცვალოს ББ-ს ოდენობა.

[3] კატალოგის პერიოდი – თითოეულის კატალოგის მოქმედების სამკვირიანი პერიოდი, რომელსაც ყოველწლიურად ადგენს კომპანია.

ჯგუფის მიერ ერთობლივად განხორციელებული შესყიდვების ღირებულება აღნიშნული კატალოგის განმავლობაში შეესაბამება 150-449 ББ;

- კონსულტანტი იღებს დაგროვებად შეღავათს, რომელიც განისაზღვრება როგორც მის მიერ წინა კატალოგის განმავლობაში შესყიდული პროდუქციის ღირებულების 6%, თუ კონსულტანტისა და მისი კონსულტანტების პირადი ჯგუფის მიერ ერთობლივად განხორციელებული შესყიდვების ღირებულება აღნიშნული კატალოგის განმავლობაში შეესაბამება 450-899 ББ; კონსულტანტი იღებს დაგროვებად შეღავათს, რომელიც განისაზღვრება როგორც მის მიერ წინა კატალოგის განმავლობაში შესყიდული პროდუქციის ღირებულების 9%, თუ კონსულტანტისა და მისი კონსულტანტების პირადი ჯგუფის მიერ ერთობლივად განხორციელებული შესყიდვების ღირებულება აღნიშნული კატალოგის განმავლობაში შეესაბამება 900-1799 ББ;
- კონსულტანტი იღებს დაგროვებად შეღავათს, რომელიც განისაზღვრება როგორც მის მიერ წინა კატალოგის განმავლობაში შესყიდული პროდუქციის ღირებულების 12%, თუ კონსულტანტისა და მისი კონსულტანტების პირადი ჯგუფის მიერ ერთობლივად განხორციელებული შესყიდვების ღირებულება აღნიშნული კატალოგის განმავლობაში შეესაბამება 1800-2999 ББ;
- კონსულტანტი იღებს დაგროვებად შეღავათს, რომელიც განისაზღვრება როგორც მის მიერ წინა კატალოგის განმავლობაში შესყიდული პროდუქციის ღირებულების 15%, თუ კონსულტანტისა და მისი კონსულტანტების პირადი ჯგუფის მიერ ერთობლივად განხორციელებული შესყიდვების ღირებულება აღნიშნული კატალოგის განმავლობაში შეესაბამება 3000-4999 ББ;
- კონსულტანტი იღებს დაგროვებად შეღავათს, რომელიც განისაზღვრება როგორც მის მიერ წინა კატალოგის განმავლობაში შესყიდული პროდუქციის ღირებულების 18%, თუ კონსულტანტისა და მისი კონსულტანტების პირადი ჯგუფის მიერ ერთობლივად განხორციელებული შესყიდვების ღირებულება აღნიშნული კატალოგის განმავლობაში შეესაბამება 5000-7499 ББ;
- კონსულტანტი იღებს დაგროვებად შეღავათს, რომელიც განისაზღვრება როგორც მის მიერ წინა კატალოგის განმავლობაში შესყიდული პროდუქციის ღირებულების 21%, თუ კონსულტანტისა და მისი კონსულტანტების პირადი ჯგუფის მიერ ერთობლივად განხორციელებული შესყიდვების ღირებულება აღნიშნული კატალოგის განმავლობაში შეესაბამება 7500 და მეტ ББ;

## 2. დაგროვებადი შეღავათით სარგებლობის წესი

ინფორმაცია დაგროვებადი შეღავათის შესახებ კონსულტანტს შეუძლია მიიღოს კომპანიის სერვისულ ცენტრში.

კონსულტანტს შეღავათის გამოყენება შეუძლია შემდგომ პერიოდში, კომპანიის პროდუქციის შეძენისას, პროდუქციის ღირებულებიდან მისი გამოქვითვით. კონსულტანტის მიერ შეღავათის გამოყენების უფლება ვადაში შეზღუდული არ არის, გარდა აღნიშნული დებულებით განსაზღვრული გამონაკლისებისა.

***შეღავათით სარგებლობის შეზღუდვა:***

- შეღავათის რაოდენობა, რომლის გამოყენებაც შეუძლია კონსულტანტს მის მიერ განხორციელებული შეყიდვისას, არ შეიძლება აღემატებოდეს კომპანიის კუთვნილი პროდუქციის ერთჯერადად განხორციელებული ამ შესყიდვის ღირებულების 50%-ს.
- კონსულტანტი, რომელსაც ბოლო 365 დღის განმავლობაში არ განუხორციელებელია არც ერთი შესყიდვა, კარგავს შეღავათით სარგებლობის უფლებას, მიუხედავად იმისა, იგი რომ მას ადრე მინიჭებული ჰქონდა კომპანიისგან.
- კომპანია იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეცვალოს კომპანიის პროდუქციაზე შეღავათის დარიცხვის წესი. აღნიშნული წესი არ ვრცელდება, იმ შეღავათებზე, რომლებიც კომპანიის მიერ ნებადართული იყო მის შეცვლამდე არსებულ დარიცხვის მეთოდზე.

## 3. დამატებითი შეღავათები, კონსულტანტის მონაწილეობისათვის სპეციალურ აქციაში

თუ კონსულტანტი მონაწილეობს აქციებში, რომლებიც მიმართულია გაყიდვების მოცულობის ზრდისა და კომპანიაში ახალი მყიდველების მოზიდვისაკენ, მას, აქციის პირობებს შესრულებისათვის, დამატებით ეძლევა შესაძენი პროდუქციის ღირებულების ტოლფასი შეღავათით სარგებლობის უფლება. იმ შემთხვევაში, თუ კონსულტანტი უარს იტყვის ასეთი პროდუქციის შეძენაზე, შეღავათი უქმდება.